# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 46. | კვირა, 23 ივნისი 1902 წ. | გაზეთის № 1846.


### ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან

ეჰ, რა საძაგლობაა როდესაც ადამიანი თავის თავის ანაბარა დარჩება და იმდენ შინაარსს კი ვერ იპოვის თავის გულში, რომ არ მოეწყინოს! ეს შედეგია სულიერად სიკვდილისა, ცხადი ნიშანია სინიდისის სამუდამოდ დაძინებისა და რა ბედნიერია ის, ვინც ამ გვარს მოწყენილობას არ გამოსცდის!..

ბატონ ადვოკატს დაამთქნარა. ეს იმას ამტკიცებდა, რომ ეხლა სამსჯულოს კარები, — სადაც მისი სიმართლის მეტყველი ბაგე გატაცებით იცავს... თავისი საკუთარი ჯიბის ინტერესებს, — დაკეტილი იყო, თორემ დამთქნარება აბა რას უნდა წარმოადგენდეს ისეთს, რომ იმაზე ლაპარაკი ღირდეს! ამასთანავე არც კლუბში არც თეატრში, არც სხვაგან არა ეგულებოდა-რა, ისეთი რომ დრო მოეკლა; ასე რომ საღამოს თერთმეტი საათიდან, როდესაც ბულვარი დაცალიერდა, ის დაბრუნდა თუ არა სახლში საძაგელ გუნებაზე დადგა... ცოლშვილი? კი, მაგრამ მისი აზრით, ცოლშვილისთანა მოსაწყენი თავშესაქცევი ჯერ ადამიანს სხვა არა გამოუგონია-რა და თუნდ ესეც არ იყოს, ცოლშვილი საავარაკოდ გაისტუმრა და ერთად ერთი მოვალეობა, რომელიც იმას ამჟამად აკავშირებდა ცოლშვილთან, იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველ საღამოს მიუჯდებოდა საწერ სტოლს და ზარმაცად სწერდა წერილებს.

„სონიჩკა! აქ კარგათა ვართ, თავს გაუფრთხილდი და ბავშვებს აკოცე ჩემს მაგიერ. გრიშა“.

კიდევ დაამთქნარა ბატონ ადვოკატს.

— ეჰ დასწყევლოს ღმერთმა! ეს რა ოხერი მოწყენილობაა! — წაილაპარაკა და კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო.

მდიდრულად მორთულ კაბინეტის თაროები გატენილი იყო წიგნებით. სქელ-სქელი და მძიმე ტომები სხვა-და სხვა ავტორთა, რომელთა შეძენა ჩვეულებათ აქვთ ამ ხელობის კაცებს, ბატონ ადვოკატზე ნაკლებ არ იყვნენ მოწყენილნი; დიდი ხანია, რაც პატრონის ხელი არ მიჰკარებია, მხოლოდ დრო გამოშვებით უზრდელი მოსამსხურე თუ წაუხახუნებდა ქოჩორზე ტილოს, დანარჩენ დროს კი ეს, უმეტეს ნაწილად ბრძოლისა და ქარიშხლის მქადაგებელნი წიგნები, ეწყვნენ ერთ და იმავე ადგილას და შესცქეროდნენ კედელს, რომელზედაც მძიმე საათს მწყობრი რაკა-რუკი გაჰქონდა... მხოლოდ საათი არ იყო უსაქმოდ ამ საერთო უსაქმობაში, მხოლოდ ის ისმოდა და აღნიშნავდა უდარდელ და გულ-გრილ დროების მუდმივ სვლას... ძალიან ემდუროდნენ საცოდავი წიგნები თავის პატრონს, მაგრამ ბატონმა ადვოკატმა ყური შეაჩვია იმათ საყვედურს და ყურადღებასაც არ აქცევდა იმას, თუ რას ამბობდნენ კაბინეტის სქელ-კანიანი მცხოვრებნი.



ბათომი. ახლად აგებული მართლ-მადიდებელთა ტაძარი



ბათომის „ბულვარი“

„რად გვარცხვენ, — ამბობდნენ ისინი, — რად გვარცხვენ შენი საქციელით? სად ჩვენი ქადაგება და სად შენი საქმეები? რად გვალაპარაკე ან თუ გვალაპარაკე რატომ არაფერი გაგვიგონე? რატომ გვარცხვენ, შე გულ-ქვა ადამიანო“?

ერთ ხანს თითქო პასუხსაც იძლევოდა ყოფილი სტუდენტი, ერთ ხანს თითქო ჰპირდებოდა კიდეც რაღაცას, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ერთ მშვენიერ დღეს შესანიშნავი მჭევრმეტყველებით დაიცვა ახალგაზდა ქალის შემცდენელი, იმის შემდეგ ეს მცირედი ყურადღებაც მოუსპო ბეჩავ წიგნებს და საწერი სტოლიც ისე დადგა, რომ ზურგი წიგნებისკენ ჰქონდა შექცეული...

კიდევ დაამთქნარა ბატონ ადვოკატს და ზარს მოჰკიდა ხელი. გაისმა ზარის წკრიალი, მაგრამ ადვოკატმა ტყუილად უცადა პასუხს. ბატონი ადვოკატი კვლავ დადის ოთახში, წიგნები ისევ მოწყენილად გადმოიყურებიან თაროებიდან...

— დაწყევლილი! ეს რა ამბავია, რომ არავინ მოდის? გაჯავრდა და უფრო მაგრად დააწკრიალა ზარი. კიდევ არავინ მოდის; თითქო ის, ვისაც ამ წუთას ბატონი ადვოკატი ეძახდა, შეჯიბრებოდეს იმის გულს.

— შეთქმულობას ხომ არ ამზადებს ჩემს წინააღმდეგ ის გოგო?! გაიფიქრა ადვოკატმა და იმავე წუთში მის წინ გამოიჭიმა

კანონის ის მუხლი, რომელიც შეთქმულობის სასჯელს აღნიშნავს. ადვოკატმა გააღო კარები და გავიდა... ოთახებში არავინ იყო, მხოლოდ სამზარეულოდან ისმოდა მხიარული სიცილი; გადაიხედა მოაჯირიდან სამზარეულოს ღია ფანჯარაში დაინახა, ვიღაც ბიჭი ეალერსებოდა ახალგაზრდა გოგოს.

— ერიჰაა! აი თურმე რაები ხდება ჩემს სახლში!—წაილაპარაკა, ჩამოვიდა ძირს და ღია ფანჯარაში შეიხედა.

ქალ-ვაჟი სახტად დარჩნენ.

— ეს რა ამბავია, სოფია?—მკაცრად იკითხა იმან.

გაწითლებულმა გოგომ თავი ჩაღუნა.

— არა, ეს რა ამბავია, მეთქი!.. მე იქ ვიძახი, ვყვირი, კინაღამ ზარი გავტეხე რეკითა და შენ კი აქ არშიყობაში ხარ?!. მე შენ გეკითხები, ეს რა ამბავია მეთქი? ვინ არის ეგ ბიჭი?

— მე ამის საქმრო ვარ, ბატონო! გაბედულათა და ცოცხლად უპასუხა გოგოს მაგიერ ბიჭმა და ბატონ ადვოკატს პირდაპირ შეხედა.

— კარში გაეთრიე ჩქარა, вонъ отсюда, вонъ, вонъ!. Ахъ, ты маш-шенникъ эдакій!—წაირუსულა ბატონმა ადვოკატმა. (ადვოკატი კი არა, ვინც უნდა იყოს, ქართველი კაცი, თუ რუსული იცის, გაჯავრების დროს უეჭველად რუსულად დაიწყებს გინებას!).

— მე კი წავალ, მარა აგი მაინც ასეა და!... მშვიდობით სოფია! ამ სიტყვებით ბიჭმა დინჯად გადააბიჯა ფეხი და ლამის წყვდიადში მიიმალა.

— შენ კი ქალბატონო, დღეის შემდეგ არ გნახო აქა!.. დღეის შემდეგ შენი ლანდი არ დავინახო, მეთქი, ამ ეზოში, გესმის თუ არა?.. Вотъ дрянь! დაუსვამს გვერდით ვიღაცა და... და მერე კი მე უნდა გავილანძღო... პატიოსანი კაცი მაგის გულისათვის! ათასი მტერი მყავს და...

## ტფილისის ტიპები



მელავაშე თათარი მუშაობის შემდეგ

ახლა კი მართლა გაჯავრდა ბატონი ადვოკატი. ალბათ მოაგონდა ძველი ამბავი, როდესაც... ჰო, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა მშვენიერმა მოსამსახურემ მთელ ქალაქს შესჩივლა, რომ... რომ პატივცემულმა ადვოკატმა გრიშა ქოქიაშვილმა ერთი ბავშვი და ერთი პანღური მითავაზა და გამომემშვიდობაო.

— ამ წამში დაიკარგე აქედან, სადაც გინდა იქ წადი, გამშორდი, წაიღე შენი ფული!.. შემოდი ჩემთან და ფული წაიღე რაც გერგება... ტუტუცო!..

გაჯავრებული ადვოკატი წავიდა ოთახში. ახლა აღარ ამთქნარებდა, პირი იქით გამოფხიზლდა კიდეც და ფიქრი დაიწყო.

— ოხერი!... — გაიფიქრა იმან, — აბა რაებს... ჩადის!.. და... და მერმე ასეთი ლამაზი მაინც არ იყოს... ჰმ, სწორედ რომ ლამაზია ოჯახ დაქცეული!.. ვითომ რა იქნება რომ.. რომ... ერთი... ისე... ვითომ რა იქნება ნეტავი?.. ბატონ ადვოკატს პირი ნერწყვით აევსო.

გოგო არ მოდიოდა. ადვოკატმა დარეკა ზარი და ცოტა ხანს შემდეგ კარი ნელა გაიღო და დარცხვენილი გოგო წყნარად გაჩერდა ოთახში.

— ა, სოფია მეთქი.... სოფია! კარგია სიყვარული?... რას იტყვი სოფია, შენ ახლა გამოცდილი ქალი ხარ, სიყვარული კარგია? ჰო, რად გაჩუმდი ქალო, თქვი! სიყვარული კარგია?



ქვემოქვეყნელი მეკურტნე

გაწითლებულმა გოგომ ისე დაღუნა თავი, რომ პირისახე დაემალა. ბატონი ადვოკატი მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გესმის სოფია?.. რად გაჩუმდი ქალო?.. ა, იქნება მემდური წელან რომ გაწყენინე? იმიტომ... მემდური სოფია?..—და გოგოს თავზე ხელი გადაუსვა. გოგო უკან დაიწია.

— რად მეძახით, ბატონო!—როგორც იყო ჰკითხა მან.

— ჰმ, გეძახდი?.. ვითომ არ იცოდე რად, ხომ დაინახე რაზედ შეგასწარ? შენ უნდა... წახვიდე მაგრამ... მაგრამ... მე ჯერ კიდევ არ მინდა გაგიშვა, სანამ ადგილს იშოვიდე სადმე... ცოდვა ხარ და... ამასთანავე ლამაზიც ხარ, ქალო... ძალიან ლამაზი ხარ და... ჰმ, რა იქნება სოფია რომ ერთი გაკოცო?

ეს უკანასკნელი სიტყვები ნამდვილის ადვოკატურის გაბედულებით სთქვა ბატონმა ადვოკატმა და უფრო მიუახლოვდა გოგოს, რომელიც აკანკალებული სულ უკან უკან იწევოდა, სანამ კარებმა არ შეაჩერეს. ადვოკატიც მიჰყვებოდა.

— სოფია, უნდა გაკოცო...—ადვოკატმა გაშალა მკლავები, რომ გულში ჩაეკრა გოგო.

— ხელი გამიშვი!.. — დაიღრიალა გოგომ,—შენ... შენ უსინდისო ყოფილხარ! დაიყვირა გოგომ და კარებში ფეხი გადასდგა.

— გეხუმრე სოფია... შენი ფული წაიღე და... ამ ღამეს მაინც სად უნდა წახვიდე... სოფია, ნუ ჯიუტობ... ფულს მოგცემ, მხოლოდ ერთს...

— თფუი, შენცა და შენ ფულებსაც!..—ზიზღით მიაფურთხა გოგომ და გულ ამომჯდარი, ქვითინით გარედ გავარდა.



ოსმალელი ქალ აბანოში.—სურათი ჟერომისა.

ბატონი ადვოკატი დიდ ხანს იდგა ერთ ალაგას, დიდ ხანს იყო ერთ და იმავე მდგომარეობაში. ჰფიქრობდა რამეს? არაფერს! მხოლოდ უაზროდ მიშტერებოდა ერთ წერტილს... ბოლოს როგორც იყო გამოერკვია, გაიღვიძა, მაგრამ ალბათ ის კი არ ახსოვდა რაც ამ წუთს მოხდა და გოგოს დასამახებლად ზარს მოჰკიდა ხელი. ახლა კი ყველაფერი მოაგონდა, გაიხედ გამოიხედა და დაამთქნარა...

სპირიდონ მცირიშვილი.

# გასართობი

პირუტყვების ბნედა. საფრანგეთის ცნობილ ბეითალს ლეპინეს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს ცხოველების ნერვების სისუსტისა. მაგალითად, ლოკომოტივთან, ავტომობილთან და სხვა ამისთანებთან შეხვედრის დროს ცხენებს, შიშის გამო, აუვარდებათ ხოლმე ცახცახი, კოჭლობენ და მთელი ტანი უდამბლავდებად რამდენიმე ხანს. პატარა პირუტყვებს დასჯის წინ შიშით, ანუ სიხარულით, როდესაც საყვარელ პატრონს დაინახავენ, ხშირად ხანგრძლივი სისუსტე მოსდით ნერვებისა და ხან სიდამბლეც. ბ. ლეპინეს მაგალითად მოჰყავს ერთი ძაღლი, რომელსაც უოველ წელს რამდენიმე ხნით სხვაგან გზავნიდენ ხოლმე. როდესაც სახლში მოიყვანდნენ, დიდი სიფრთხილით აჩვენებდნენ პატრონს, რადგან მეტის მეტი სიხარულის გამო ძაღლს ბნედა მოსდიოდა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ემართებოდა ხოლმე.

ექიმ ხიჟიეს სხვა მაგალითი მოჰყავს კანარეიკის ნერვების სიდამბლისა. ერთი იმისი კანარეიკა, მშვენიერი მგალობელი, კატამ დაათვთხო, რომელიც უცბად შევარდა ოთახში და გალია წააქცია. ექიმმა თავის დროზე მოასწრო და გააგდო კატა, ასე რომ კანარეიკას არა დაშავებია რა. მაგრამ შეშინებულმა კანარეიკამ გრძნობა დაკარგა და უძრავად ეგდო, ვიდრე ცივი წყალი არ შეასხეს და არ მოასულიერეს. გონზე რომ მოვიდა, პაწია ჩიტმა კვალად იწყო ცელქობა, კენკა მარცვლებისა, ხტუნვა, მხოლოდ ენა კი ჩაუვარდა, დამუნჯდა ეს მშვენიერი მგალობელი. ექვსი კვირის განმავლობაში ხმა სულ არა ჰქონდა, და ამის შემდეგ უცბადვე დაუბრუნდა და დაიწყო გალობა.

ექიმ ხიჟიეს სხვა მაგალითიც მოჰყავს. ერთს ცხრა თვის კატას ძაღლი გამოუდგა და დაჰგლიჯა. კატა მაშინვე ჩაცუცქდა, როგორც დამბლა დაცემული, და მას შემდეგ წინა ფეხებით დაცოცავდა და უკანა ტანს ნალოსავით მიათრევდა. მთელი ნახევარი ტანი, უკანა ფეხები და კუდი დამბლადა ჰქონდა.

ორი თვის შემდეგ ამ ამბისა, ერთმა გოგომ, რომელსაც იმის გასაგებად, რომ გადაეგდო ეს დამბლა კატა, სადი კატასავით ფეხზე დადგებოდა თუ არა,—აიღო ეს საბრალო კატა და პირველი სართულის ფანჯრიდან გადისროლა; კატა მართლა ფეხზედ დადგა და, საწყალმა, ერთი წუთის შემდეგ ისეთი მოკურცხლა, რომ ემმაკიც ვერ დაეწეოდა. ამ მეორე შეშინებამ სიდამბლისაგან მოარჩინა.

ხანდიხან პირუტყვებს თითქო ზნეობრივი სასჯელის გამო მოსდით ხოლმე ნერვების სისუსტე, მაგალითად, ერთს თერთმეტი წლის მშვიდს ძაღლს ძლიერი ბნედა მოუვიდა იმის გამო, რომ პატრონი რაღაზედაც ძაღლს გაუწყრა. ამის შემდეგ, როცა ეს ძაღლი პატრონს დაინახავდა, კანკალ-ცახცახი აუტყდებოდა ხოლმე.

*
* *

შარლ რუ და ვილჰელმ მეორე. დეპუტატად ნამყოფი შარლ რუ „ფიგაროში“ შემდეგსა სწერს იმპერატორის ვილჰელმ მეორის ნახვის გამო.

ვილჰელმმა წაიყვანა შარლ რუ და იმასთან მოსული თავადი მონაკო „სან-სუს“-ის სასახლის საჩვენებლად, პოსტამს ახლო.

იმპერატორი ერთს დარბაზში გაჩერდა და უცბად მიუბრუნდა რუს:

ყველანი ამბობენ, რომ გერმანელებს გემოვნება არ აქვთო; თქვენ ამაზე რას იტყვით?

— თქვენო უდიდებულესობავ, ნებას მიბოძებთ სრულიად გულახდით მოგახსენოთ?– -ჰკითხა რუმ.

— რასაკვირველია.

— თუნდაც ამითი თქვენი უდიდებულესობის უკმაყოფილებაც გამოვიწვიო?

— მე არასოდეს არა ვჯავრობ გულ ახდილი ლაპარაკისთვის.

— მაშ ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ხელმწიფევ, რომ სასახლე მართლაც დიდმშვენიერია, მაგრამ იმის არქიტექტურა ფრანგულია, ავეჯი ფრანგულია, მთელი წიგნთ საცავი ფრანგების ავტორებისგან შესდგება. ეს, ვსთქვათ, თქვენის უდიდებულესობის წინაპრის დიდ გემოვნებას ამტკიცებს!

იმპერატორმა ჩაიცინა და უპასუხა:

— იმაში ხომ დამეთანხმებით, რომ ის, სხვა არა იყოს-რა, შესანიშნავი სახელმწიფო კაცი იყო?

— ვის შეუძლია ამის უარყოფა?—უპასუხა რუმ,—მაგრამ, თუ არა ვსცდები, თანამემამულეებმა ბევრი ეკალი შესძღვნეს იმას ცხოვრებაში!

— შესაძლებელია! თქვენ სრულიად მართალი ხართ! მაგრამ ეს ხომ ბევრის ხვედრია!—უპასუხა ირონიულის სიცილით იმპერატორმა.

*
* *

სტუდენტების ოინი. ერთი ძველი ნასტუდენტარი თავის წერილებში ერთს ეპიზოდს იგონებს, რომელიც საფრანგეთის ქალაქში მომხდარა.

ერთხელ გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ სტუდენტები თეატრში მოდიოდნენ ხოლმე ეტლებით და არა ფეხით, რომ ამითი მოისპოს ის უწესოება, რომელიც ხდება თეატრის შესავალში, როდესაც სტუდენტები მოიყრიან თავს. ყველამ იცის, რომ სტუდენტების დიდი უმეტესობა ღარიბი ხალხია, და აბა სად იშოვიან ფულს, უოველთვის ეტლებით იარონ თეატრში და, მაშასადამე, ამ განკარგულების წყალობით ისინი უნდა მოაკლდნენ წარმოდგენაზე დასწრებით სიამოვნებას ან არა და ისეთი ღონისძიება უნდა გამოიგონონ, რომ არ დაირღვეს კანონიერი განკარგულება გუბერნატორისა.

ერთხელ წარმოდგენის დაწყების წინად შევარდება გუბერნატორთან გულგახეთქილი პოლიციის უფროსი და ქშენითა და ქაქანით ჭაიჭარად რაღასაც უამბობს:

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენ თითონ წამობძანდით... მე აღარაფერი არ შემიძლიან, ღონე არ შემწევს... მთელი ხროვა სტუდენტები—ორასი კაცი ერთის კარეტით მოვიდნენ!..

— რაოთო? როგორ თუ ორასი კაცი ერთის კარეტით?! ვერაფერი ვერ გაიგო გუბერნატორმა, ადგა და თითონ წავიდა თეატრში. იქ დიდძალი საზოგადოება შეკრებილიყო, უფრო სტუდენტობა; სიცილ-ხარხარი და ხუმრობა მოისმოდა.

მერე რა ნახა გუბერნატორმა? თეატრის კარებთან სდგას კარეტა გაღებულის კარებით, საიდანაც თითოთითოდ გამოდიან სტუდენტები და წყნარად შედიან თეატრში. ეს ამბავი თხუთმეტი წუთი გაგძელდა და ამ დროს განმავლობაში ვერც ერთი სხვა ეკიპაჟი ვერ მიუდგა თეატრის კარებს.

ეს ოინი ასე მოეხერხებინათ სტუდენტებს: ოთხ სდუდენტს ექირავა კარეტა და შიგ ჩაბძანებულიყვნენ; იმათ გაჭყოლოდნენ ფეხით 200 კაცი-სტუდენტი. როდესაც კარეტა თეატრის კარებთან გაჩერდა, სტუდენტებმა ორივე კარები გააღეს კარეტისა, ერთიდან შედიოდნენ მეორედან გამოდიოდნენ. აი ამ ამბავმა გაუხეთქა გული საბრალო პოლიცმეისტერს.

ეს რომ შეიტყო გუბერნატორმა, ქვა მიაგდო და თავი მიანება თავის განკარგულებას, როგორც უნდა ეცლოთ სტუდენტებს თეატრში—ფეხით, ცხენით თუ აქლემებით.

ქუთაისის ბანკის წევრთა საზოგადო კრება.




საშუალება მძიმე საქმის ადვილად გადაწყვეტისა.

ქალაქის საავადმყოფოში.




საავადმყოფოს ექიმი. ოჰ, ღმერთო ჩემო! თითქო ქალაქის არხიტექტორებმა შეაკეთეს ეს შენობა, ფულიც ბევრი დაიხარჯა... მაგრამ ეს თაგვები რომ მაინც არ მასვენებენ?!...

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Іюня 1902 г. Электропеч' груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა).